№ 117

კვირა, 15 ივნისი 1897 წ.

გაზეთის ფასი:

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 7 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877 – 1897

# ივერია

№ 117

კვირა, 15 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კბილის ექიმი
ვ. ი. ჭიჭინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, 21 („ივერიის" რედაქციის ქვეშ).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი და შინაგანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ბუგინოვი 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ვ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა: გლეხი ალექსანდრე ლომია სურამის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნა: სურამის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი მათე ბერიძე—ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი კასიდ ტვარაძე.

## ახალი ამბავი

—

*** 27 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლო სომეხ-გრიგორიანთა დეკანოზის ხაჩატურ ტერ-ხაჩატურიანცის საქმეს განიხილავს. ტერ-ხაჩატურიანცს სამსახურის საქმეში სიყალბე ჰბრალდება.

*** ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს ჰქონდა წარდგენილი განსახილველად, საზოგადოების დამფუძნებელთ უკანვე დაუბრუნდათ ზოგიერთა ცვლილების შესატანად წესდებაში. ახლა, როგორც შევიტყეთ, ხსენებული პროექტი კვლავ წარუგზავნიათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილოს.

*** ტფილისის გუბერნატორს თავ. შერვაშიძეს ქალაქის გამგეობისათვის მოუთხოვნია სია იმ ამომრჩეველთა, რომელნიც ამ მომავალ 1897—1901 წ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანებზედ მონაწილეობას იღებდნენ. ამასთან აღნიშნეთ, ამომრჩეველთაგან ვის ჰქონდა ორ-ორი ხმა.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ახალი პროექტია შეტანილი განსახილველად ჩრდილოეთ კავკასიაში ღვინის დაყენების სკოლის დაარსების შესახებ.

*** ტფილისის გუბერნატორს შეუთვლია ქალაქის გამგეობისათვის, რაც შეიძლება მალე შეუდექით ტფილისის ყველა ქუჩების განათების საქმის განკარგებას; განსაკუთრებით ბულვარის, ელისაბედის და მიხეილის ქუჩებისათ.

*** როგორც გაზ. „სუდ. გაზ." იუწყება, იუსტიციის სამინისტრო ამ ჟამად კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებსა და ოლქებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საქმის განხილვაშია. გაზეთის სიტყვით ამ საგნის განხილვა დასრულდება ამა წლის ოქტომბერში.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოში შეტანილია ის საგანი განსახილველად, რომ გადაკეთებულ იქმნას ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელი და კავკასიის სააბრეშუმო სადგური.

*** საქართველოს-სამხედრო გზის გასაკეთებლად, რომელიც წარსულ მაისის დიდმა წვიმებმა საშინლად წაახდინა, სავზაო სამინისტროს 5,200 მან. გადაუდვია.

*** გორის მაზრის სოფ. ალში უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დასაარსებლად შუამდგომლობა დაუწყიათ.

*** წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელ კერძო სადგურის პატრონმა ე. ი. დოლანოვმა ამ ბოლოს დროს ტფილისში ცურვის შესასწავლად კურსები გახსნა, რისთვისაც მან საკმაოდ დიდი აუზიც გააკეთა. ცურვის შესწავლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. რომ ამ ახალს საქმეს წარმატება დაეტყოს, ერთს ებრაელს ბ-ნს შაფრანოვს, რომელთანაც ბ-ნს დოლანოვს სახლი ჰქონდა დაგირავებული, ნოტარიუსის წესით 2,600 მან. უარი უთქვამს, უპატიებია. სამაგიეროდ დოლანოვსაც სურვილი განუცხადებია შეუძლებელ ურიების შვილებს უსასყიდლოდ ასწავლოს ცურვა.

*** 15 ივნისიდამ, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, კავკასიის სააბრეშუმო სადგურზედ ლექციების კითხვას დაიწყებენ აბრეშუმის მოყვანისა და მეფუტკრეობის შესახებ. ლექციების კითხვას ერთს თვეს მოუნდებიან. სოფლიდამ ჩამოსულ მასწავლებელთ საცხოვრებლად ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში დაეთმობათ უფასოდ ოთახები. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოთხიოდ-ხუთი კაცია ჩამოსული.

*** მაისში მომხდარ ნიაღვრებისაგან სიღნაღის მაზრაში შემდეგი სოფლები უფრო დაზარალდნენ: ჰრემი—10,000 მან., ყანდაურა—9,800 მან. და ზემო-მაჩხაანი—2,000 მან.

*** ტფილისის გუბერნატორს ორი საჩივარი მიუღია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური კრების შესახებ—ერთი თავ. გ. ი. თარხან-მოურავისაგან და მეორე ტფილისის გუბ. 11 თავად-აზნაურთაგან.

*** განჯის გუბერნატორის შუამდგომლობისა გამო მთავრობას გარჯაუწყვეტია 29,500 მან. გარდაეცეს ხსენებულს გუბერნატორს ყაზახის მაზრის მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა შორის სესხით გასაცემად.

*** სოფ. სტეფანწმინდა. 5 მაისს გუგუა გომიაშვილის მეუღლე, ჯერ ახალგაზდა ქალი, დილით რაღაც უცნაურისა და გამოურკვეველის მიზეზით თულუხით თერგზედ ჩამოვიდა და თავისის ნებით აოხრებულს თერგს მიეცა. ამ საშინელმა ამბავმა საათის ხუთზედ მთელი სტეფანწმინდის მკვიდრნი სულ ფეხზედ დააყენა და თერგის აქეთ-იქითა მხარეს მოესხა, მაგრამ უბედურს ქალს თვალი ველარავინ მოჰკრა. ამ დროს იმისი ქმარი გომიაშვილი ცხვარში იყო და იქიდამ მოიყვანეს შინა. როცა გაიგო ცოლის ასეთი უბედურება, ზედ ყაზბეგის რკინის ხიდიდგან (იმ ადგილიდგან, სადაც ახალგაზდა ცოლი წყალში გადავარდა) გადახტა და ისიც ცოლის მაგალითს აჰყვა.

## ფელეტონი

—

***

კმარა, დამეხსენ, შეჩვენებულო,
სულით ობოლსა რას მიავდები?
ნუთუ ისიც გშურს—ცოცხალი რომ ვარ,
დაუყოვნებლივ დღეს რომ არ ვკვდები?
ხომ შეისრულე ქალური მცნება—
ულვთოდ მომიკალ სიცოცხლე გულის,
საჯოჯოხეთო ცეცხლად აღმინთე
ნაზი ლ მპარი მძლე სიყვარულის;
სულიც დამივსე, გამიცამტვერე
დემონიურის შურით და ძალით,
ჩემის სიცოცხლის ცრემლებად დნობას
დაუზარებლად ღავყურებ თვალით!..
სხვა რაღა გინდა?.. გასწი, გამშორდი,
შენი მშვენებაც წაიღე თანა
და მომასვენე... მაგრამ, ჰო, ვიცი
სულს რა გიშფოთებს, რა გამოცანა:
ჰხედავ, რომ გული გაგმირული მაქვს,
და კი არ ვკვდები—გაოცებს ესა!
იცი, გულ-ქვაო, შენმა ისარმა
გულში სიცოცხლე თვითვე ჩაჰკვესა:
იგი ჰკლავს, მაგრამ იგივ აცოცხლებს,
რამაც დასტანჯა, მან გაახარა,
სადაც რომ წაჰკრა სიკვდილმა შუბი,
იქვე სიცოცხლე გადაეფარა!..
რაღას დამაკლებ?—კიდევ მატირე;
მე ვიგალობებ იმავ დროს წყნარად,
შენგან მოგონილს წამების მახვილს
გულს ვამსახურებ სიცოცხლის ფარად...
მაშ გამშორდი, შე... შენი ჭირიმე,
ფეხი არ წასდგა! მტყორცნე ისარი:
იგი ყოფილა სიკვდილის შუბი,
მაგრამ სიცოცხლეც თურმე ის არი!..

გრ. აბაშიძე

## ქალაქის არჩევანები და ჩვენი ტაქტიკა *)

ახლად დასრულებულმა ქალაქის არჩევანებმა დიდი ბრძოლა და განხეთქილება გამოიწვია. გაცხარებული პოლემიკა და მითქმა-მოთქმა არ დასჯერდა მარტო არჩევანების საქმეს, არამედ აღძრა საზოგადო საგანი ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ; აღძრა მეტად რთული და ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი საერო საგანი. კავკასიის ერთა ურთიერთობას, როგორც ძველს ჩვენს ისტორიაში, ისე აწმყოში უპირველესი როლი ეკუთვნის; ამ ურთიერთობაზედ არის დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის ზრდა, განვითარება და საზოგადოდ მომავალი სვე-ბედი. ამიტომაც ეს საგანი მოითხოვს ჩვენგან უდიდესს სიფრთხილეს, ღრმა გამოკვლევას და წინ-დახედულს მოქმედებას. მოექცა თუ არა ქართული მწერლობა აღნიშნულს მძიმე საგანს ჯეროვანის სიფრთხილითა და გამჭრიახობით, დაუადექით თუ არა სწორ გზას ამ საქმეში—ამის შესახებ ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვსურს ბაასი, არა გვსურს იმიტომ, რომ, ჩვენის ფიქრით, ამ გვარ სჯა ბაასისთვის უფრო დამშვიდებული დროა საჭირო. ახლა რომ ისეთი რამ სთქვა, რაც უმეტესობის გულწრფელ ან ფარისევლურ აზრსა და რწმენას ეწინააღმდეგება, საშობლოს ღალატს დაგვწამებენ, დაგვწამებენ ისინიც-კი, ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ფეხებზედ ჰკიდია.

რასაკვირველია, ამისთანა დაწამებას არ უნდა შეუშინდე და უნდა სთქვა ის, რაც სამართლიანად მიგაჩნია, მაგრამ არც ის ვარგა, ტყუილა-უბრალოდ კედელს თავი ახალო. არის საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი ჟამი, როდესაც „ჰო" რომ სთქვა, „არა" სთქვიო—გიკიჟინებენ. როდესაც არც შენს მოსაზრებას, არც შენს საბუთებს კაცი ყურს არ ათხოვებს და ყოველი შენი ცდა ან ვნებას მოიტანს, ან სრულიად ამაოდ დარჩება. ამისთანა დროში ბევრი, რასაკვირველია, გულ-წრფელად არის გატაცებული ერთის აზრითა და მიმართულებით, მაგრამ ბევრნი ის „ღამის რაინდები" ბრძანდებიან, რომელთაც, საკუთარ ინტერესების გარდა, არაფერი არ ასულდგმულებს და რომელთ ფარფაშს შესანიშნავად ხელს უწყობს ვნებათა ღელვის ხანა... ამისთანა დროში „გაცლა სჯობს", რასაკვირველია, დროებით...

ჯერ-ჯერობით ჩვენ გვსურს მხოლოდ ქალაქის არჩევანებს შევეხოთ და გავარჩიოთ ის ტაქტიკა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ქართველ ამომრჩეველთა მეთაურები. ჩვენის აზრით, საჭიროა ეს ტაქტიკა ყოველ-მხრივ იქმნას გარჩეული და დაფასებული; შეიძლება, ვინმემ ისეთი რამ სთქვას, რაც მომავალში მაინც გამოგვადგება...

—

ის ქართველი, რომელიც შორიდგან, მაგალითად ქუთაისისა ან თელავიდგან, ადევნებდა თვალ ყურს ტფილისის ჟურნალ-გაზეთებს, იმათს დაუსრულებელსა და გაცხარებულს პოლემიკას, უთუოდ დარწმუნებულია, რომ ქართველები შესანიშნავის მხნეობითა და ენერგიით შეებრძოლნენ სომხებს, რათა დაეცვათ თავისი კანონიერი უფლებანი და აღესრულებინათ სამართლიანი წადილი; უთუოდ დარწმუნებულია, რომ ქართველ ამომრჩეველთა მოთავეებმა იღონეს მთელი ის ღონე, რომელიც შესწევთ ქართველებს ტფილისში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჰფიქრობს ალბად ქუთაისელი, ან თელაველი ქართველი—რად დაიწყებდნენ ეს მოთავეები საქვეყნოდ ღაღადსა და ჩივილს, რომ ვერა გავაწყეთ-რა, რომ ყოველი ჩვენი ცდა ამაოდ

*) ბევრს რასმეში არ ვეთანხმებით ამ წერილის ავტორს, მაგრამ მაინც ვბეჭდავთ მკითხველთა საყურადღებოდ.

რედ.

საც ასევე ხალხი დაედევნა, მაგრამ ვერ იპოვეს. ასე და ამ რიგად დასრულდა ამ ახალგაზდა ცოლ-ქმართა სიცოცხლე. ჯერ არავინ იცის, რამ აიძულა და რად გაიმეტეს თავი ასეთის საშინელის სიკვდილისათვის.

## „ხევი“ და მისი ავ-კარგიანობა.

თუ წარსული 1896 წელი მოხევებისთვის ავი იყო და აქაური ცხვრები იმდენად დააზარალა ავმა ზამთარმა, რომ თავნის ნახევარიც არავის მოუყვიდა უიზლიარიდამ და ნაშენს ხომ აღარავინა სჩიოდა; სამაგიეროდ წრევანდელმა 1897 წელმა კი ცხვრის პატრონები ისე დააჯილდოვა ცხვრის კარგად გამოკვებით და ნაშენის და მატულის სრულიად და ბარაქიანად მოცემით, რომ წინა წლის ზარალი სულ ერთიანად დაავიწყა. არც ერთს აქაურს მცხოვრებს არ ეთქმის წრევანდელის წლის სამდურავი, მაგრამ მემცხვარეები მალიან გაჯავრებულები არიან პირველად მატულის ჩარჩ ვაჭრებზედ, რომლებიც წინადვე არიგებენ ბეის და პირობას უდებენ, როგორც მაზანდა გაიკვეთება, იმ კვალობაზედ გაგისწორდებითო. ბეის მიმღები მეცხვარე მალაუნებურად (რაკი ფული ათასნაირად სჭირდება) ართმევს ბეის და პირობას ასე ეუბნება: „რაც ქვეყნისთვის იქნება მაზანდა, ის ჩემთვისაო“. კარგი და პატიოსანი, მაზანდის გამკვეთი რომ იგივე ქვეყანა იქნებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაზანდის გამკვეთებლად იგივე ჩარჩი და ორი სამი მისივე ამხანაგი არიან და არა ის უმრავლესი ქვეყანა. თუმცა სხვა-და-სხვა ადგილს და სხვა შემთხვევაში ყოველი საქმე ხმის უმეტესობით დაბოლოვდება ხოლმე და საქმე იმ მხარეს სასარგებლოთ გათავდება, საიდაც მეტი მხარე აღმოჩნდება, მაგრამ ჩარჩებს და მეცხვარეების ურთიერთობას-კი ყოველს წელს და ყოველს ჟამს სჯარბობს და სჯობნობს ხმის სიმცირე. ამიტომ, რომ ათასს მეცხვარეს (აქ სახეში ქვეშეთის საბოქაულო: მთიული მოხევე და გუდამყარელი უნდა ვიქონიოთ) სამს გაიმკვერასთან აქვს საქმე. პირველი ბეის დამრიგები ვაჭარი განზედ გავა, მეორე იმისვე კუდი-ჩარჩი მოჭყდება და თავისს ფასს შეაძლევს, მეორის ფასს მესამე ფუთზედ 10 კაპ., მალიან ბევრი 20 კაპ. მოუმატებს და ასე და ამ რიგად გაიკვეთება მთელის მეცხვარეების მაზანდა. წელს გაიკვეთა 4 მანეთად და ზოგს კი 4 მ. და 60 კაპ. იმედიცა აქვს. ვნახოთ რა იქნება.

აგრეთვე დიდი შეწუხება ადგია ცხვარმეცხვარეს უიზლარისკენ მისვლა-მოსვლის დროს გზებზედ. დარიალიდგან მთელს თერგის ოლქის საზღვარზედ უიზლიარამდე და იმას ქვეითაც (კასპიის ზღვის პირამდე მიდიან), შემოდგომის ცხვარს გზაზედ სიარული 20—30 დღე სჭირდება, გაზაფხულობით, რადგანაც ლური ცხვარი არის და წვრილი ბატკანი მისდევს, ხუთი კვირაც უნდება სიარული და ამ გზებზედ დიდს უწესოებას უწევენ მამულის პატრონი ყაზახები და ქისტები. პირველნი ჩხუბობენ, რად ამოვებთ გზის პირზეო, და ზოგან თვით მამასახლისისა და „ურიადნიკების“ დახმარებითაც-კი კარგ ჯილდოსაც იღებენ ცხვრის მარტო გზა-გზა გატარებისთვის. ზოგს შემთხვევაში მეცხვარებს ყაზახების მამულში ღამის გასათევები ქირაც მიუციათ და იმათ მიერ თაბულისათვის წყლის სასმელად დატოვებულს ადგზედ დაუჯილდოვებლად ცხვარი წყალზედ არ მიუშვიათ. ზოგს შემთხვევაში-კი სულ ცუდ-უბრალოდ დავა აუტეხიათ და მრავალი მეცხვარე დამსხვრეული და დამტვრეული ძლივს დაღწევიან ყაზახებს. საკვირველი კიდევ ის არის, რომ, როდესაც ერთმა შემძლე თავრიჩანმა კავკავის ოლქის გამიჯვნელს სამმართველოს სთხოვა, რომ ჩემი ცხვრის ფარა უიზლიარის გზებზედ ვერ იმართება და მემამულე ყაზახებს ნებას ნუ მისცემთ გზის მარჯვეს ხვნა თესვისას და ადგის დაცვისასაო. ეს მდიდარი თავრიჩანი თავისს თხოვნაში მთავრობამ ისე დააკმაყოფილა, რომ იმის ცხვრისთვის გზის იქით აქეთ მხარეს 50 საჟენამდე სამოვარი არის დატოვებული. თუ ეს გაგონის მალით მთავრობამ დააკმაყოფილა და ერთის კაცისთვის ასე გული შეიტკივა, მაშასადამე, წესი მოითხოვს, რომ იმავე კანონით გასასარგებლოს ათასამდე მთის მეცხვარეც, რომელთა ფარებიც 100—200 ადემატება და რიცხვით-კი, ჩემის აზრით, ასი ათასი სულიც მოიკრიბება მთელს ქვეშეთის საბოქაულოში. კავკავიდგან მოკიდებული ვიდრე უიზლიარამდე ყველა სოფლის მამულს გზის პირზედ კვალი აქვს გავლებული. ამ საშარო კვალებს რუსები Загонъ-ს ეძახიან და ვაი იმ მეცხვარის ჩედას, თუ ამ „ზაგონს“ იქით ერთი თხა მაინც არის ვისმეს გადაუვიდა. თუ გსურს ცხვრის მოძოვება, ან წყლის დალევინება, ანუ ღამე დადგომა ბინად, ეს ყველა თუ ფულით არ იშოვე, უთუოდ იმდენს წაგართმევენ, რომ ერთი სამად ადემატებოდეს ფასს. თუ ცხადლივ ყაზახები დავობენ, მალვით ღამე არც ქისტები აურიან ხეირსა მნელად გადარჩება მეცხვარე, რომ ფარაზედ ოცი ოც-და-ათამდე ცხვარი ქისტებმა ქურდულად გზებზედ არ გაასაცლონ და ზოგჯერ საპინაო ცხენებსაც ხომ ხელიდგან სტაცებენ.

როდესაც ამდენს საცოდაობას გამოვლილი მეცხვარე შინ მოდის, ჰფიქრობს, ახლა-კი მოვაღწიე ჩემს ადგილში და აქ-კი მშვიდად და თავისუფლად ამოვისუნთქავო, მაგრამ იმედი უცრუვდება და უარესი ემართება! აქ სოფელი ორ ჯგუფად გაყოფილა, ე. ი. ცხვრიანი და უცხვრო, ცხვრიანები უცხვროებთან ერთად დასახლებულნი არიან სახელმწიფო მიწაზედ, ამათი ჭირი თუ ლხინი ერთი არის, ყალანს ერთ გვარ იხდიან მიწისასა და სარგებლობა-კი სხვა-და-სხვა ნაირი არის. ამ გვარი საძოვრები ჯერ მთავრობის მხრივ გამიჯნული არ არის და არც გლეხთა შორის თანასწორად სასარგებლოდ არის განაწილებული, რადგანაც ზოგ-ზოგ სოფლებში დაუჩემებიათ და ისე ჰხმარობენ სახელმწიფო საძოვრებს, როგორც მებატონეები. ამისთანა დამჩემებლების და არას მქონე გლეხებს შორის მუდმივი დავა და აღიაქოთია. თქვენ იმდენი გიჭირამთ, რომ ფარა ცხვარს ამოვებთ, მე ერთის ძროხის მოძოვებასაც უქირავებლად ვერ მომიხერხებიაო, ყალანს-კი თანასწორს ვიხდითო. ან გვყოთ ადგილი და ან სახელმწიფო ყალანიც თქვენ იხადეთო. ამისთანა სოფლებში ბევრი დავაა ასეთი. ერთი ამ გვარი სადავო საქმე დღევანდლამდე პოლიციას აღსრულებაში არ მოუყვანია. ეს ექვსი წელიწადია, რაც სოფ. სიონში ჩამოვარდნილის დავის შესახებ სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ მოსწერა ადგილობრივს ბოქაულს, რომ ყველა საძოვრებით სიონის მკვიდრთ თანასწორად ისარგებლონო, მაგრამ რაღაც მანქანებით ეს სასარგებლო განკარგულება მიჩუმდა და საძოვრებით კი ისევ ისე სარგებლობენ ის ძალდობით დამჩემებელნი, როგორც კერძო მემამულენი.

ზედ-კი იმავე სიონელებს მოსდგომას კარზედ 50 თუმნამდე რაღაც საშქუარა, რომ რწმუნებულნი ამოარჩიათ გამიჯვნის დროს დასასწრებლად. 26 კაციდგან, რომლებიც კრებას დაესწრნენ, 3 ამოირჩიეს (დუშეთში 5000 მოსახლე ითვლება) და აი, ამათ იმის მაგიერად, რომ ხსენებული მამული დუშეთის სახელზედ დაემიჯნენიბინათ, აიღეს და სურბ-გეურქის სასათვლაგოს სახელზედ დაამიჯნინეს. როდესაც წარსულ 15 მაისს მიწის მზომავმა ბ-ნმა სტრუპჩევსკიმ ეს გარდაწყვეტილება უკვე შესრულდა, გამარჯვებულო», რასაკვირველია, გაიხარეს და ქეიფი გამართეს. ამ ქეიფმა და უსაზღვრო სიხარულმა ყველა მცხოვრებთა ყურადღება მიიპყრო და როდესაც შეიტყვეს საქმის გარემოება, მაშინვე გარდასწყვიტეს უმაღლესს მთავრობას წინაშე შუამდგომლობა დაეწყოთ და ხსენებული საქმე გადასინჯვინებინათ. სამართლის აღდგენა ადვილია:

საჭიროა მხოლოდ გამოძიება მოხდეს და მახლობელ სოფლების მცხოვრებთ დაეკითხნენ, რომელთაც ამ საქმეში არავითარი ინტერესი არა აქვთ და აი, მაშინ გამოჩნდება ვინ მართალია, ვინ მტყუანიო“.

დიახ, სასურველია, რომ მთავრობამ არ დააგვიანოს და გამოძიება დროზედ დანიშნოს, რადგანაც, როგორც ვხედავთ, სიტყვას, ცამდის მართალსაც-კი, დღეს ისე აღარავინ ერწმუნება, თუ იგი ძალითა და უფლებით არ შეიმოსება.

## წერილი სამურზაყანოდგან

განსვენებული თავადი ნიკოლოოზ ზურაბის ძე ჰავჰავაძე უკანასკნელ ომიანობის დროს სოხუმის ოლქის უფროსის თანამდებობას ასრულებდა, შემდეგ ომის გათავებისა, ამ სასიქადულო მამულიშვილმა ოცი ათასი მანეთი უანდერძა სამურზაყანოს მკვიდრთ იმ პირობით, რომ ამ ფულით უნდა დაეარსებინათ სამურზაყანოში ბანკი. ამდენი დრო და ჟამი გავიდა და ეს ფული დღესაც სახელმწიფო შემნახველის კასაში ინახება. ჩვენს საზოგადოებას ფიქრადაც არ მოსდის სთხოვოს მთავრობას ამ ოცის ათასის მანეთით დაარსდეს ადგილობრივი ბანკი ანდერძისა თანახმად და დაიხსნან თავი ქვეყნის მჭამელ მოვახშეებისაგან. ჩვენი კაცი გაჭირვების დროს დაიწყებს წანწალს ფულის სასესხებლად, რასაკვირველია, ამ მარჯვე შემთხვევით სარგებლობს დახელოვნებული მოვახშე და როგორც უნდა აცლის ტყავს მისთვის განმზადებულს ზვარაკსა, მაგრამ ხათაბალა ეს არის, მოვახშეს „ბანკიც“ დაცალიერდა; ნამეტნავად ამ ორის წლის განმავლობაში. სიმიდის ფასის დაცემით თქვენი მტერი ჩვენი ხალხი უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა. კარგს იზამს ჩვენის ნაწილის უფროსი, ჩააგონებდეს ხალხს იმ ოცის ათასის მანეთის დანიშნულებისამებრ მოხმარებას.

ამ ჟამად ქურდობა თითქმის შესწყდა ჩვენში. მადლობის ღირსია ჩვენის ნაწილის ახალი უფროსი სასტიკ ღონის ძიებათა მიღებისათვის ქურდბაცაცების წინააღმდეგ.

ამ სამის თვის წინად აქ ჩამოვიდა დრანდის მონასტრის ბერი, თან ახლდა ერთი მღვდელი შუაგულ რუსეთიდგან ჩამოსული. ამ ორმა მამებმა დაათვალიერეს ბედიის ტაძარი. ეს ბერი სცდილობს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ამ ნაშთის განახლებისათვის, რომ აქაც გაიჩინოს სავანე თანამოძმეებისათვის. აი სადა სჩანს ჩვენი გულ-ცივობა და დაუდევრობა. ამ ნაშთის პატრონი რომ სხვა, ჩვენზედ უფრო შეგნებული, ერი იყოს, სიცოცხლე გაქვთ, არა მარტო ეკკლესიას განაახლებდა, ქვითკირის ზღუდესაც შემოავლებდა. ნუ თუ შეუძლებელი საქმეა თითო აბაზის გადახდა კომლზე, რომ ეს ჩვენი სახელოვანის წინაპრების ნაშრომი ძეგლი განახლებულ იქმნას?!..

არ შეგვიძლია დასასრულ არ აღვნიშნოთ ერთი სასიამოვნო ამბავი, რომელიც ოქუმის და მუხურის საზოგადოებაში მოხდა ამ მოკლე ხან-

---

დარჩაო, რად დაუწყებდნენ სხვას ხვეწნას—მოდით, გვიშველეთო, მოდით—საგანგებო რამ საშუალება იხმარეთ ჩვენის სამართლიანის უფლების დაცვისათვისაო?! სამწუხაროდ, შორიდან მაყურებელი ქართველი სცდება: ჩვენ არა თუ არ ვისარგებლეთ სავსებით ყველა იმ საშუალებით, რომელსაც გარემოება ხელში გვაძლევს, პირიქით, ისეთს ახირებულს გზას დავადეგით, რომ თითქოს განგებ წინაგანვიზრახეთ ჩვენი დამარცხება... დავიწყოთ თავიდგან.

როგორც მოგეხსენებათ, ტფილისის თვით-მართველობა კარგა ხანია სომხებმა ჩაიგდეს ხელში; ამ მხრით მათ კარგად აქვთ გამაგრებული ზურგი და ადვილად ვერ გამოჰგლეჯ ხელიდგან მოპოვებულს ძალას, ადვილად ვერ შეარყევ აწ დაჭერილ სიმაგრიდგან. მიუხედავად ამისა, სომეხთა დასთა მეთაურებს კარგად ახსოვთ ანდაზა „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“ და ადრევე იწყებენ საბრძოლველად მზადებას. წელსაც ჩვენ კიდევ ღრმა ძილში ვიყავით, როდესაც ისინი საქმეს შეუდგნენ. ჩვენ, რომელთაც მეტი მუყაითობა გვჭირია, რომელთაც მეტი მხნეობა უნდა გამოგვეჩინა, რის ვაი ვაგლახით სომხებზედ უფრო გვიან, არჩევანების ორი-სამისთვის წინად, დავიწყეთ მზადება. მაგრამ მზადებაც არის და მზადებაც; არის იმგვარი მზადება, რომელიც სულ რომ არ იყოს, ისა სჯობია. როდესაც მზადება ტყუილ-უბრალო ლაპარაკში, აქეთ-იქით ტრიალსა, მითქმა-მოთქმასა, სხვისთვის მუქარის შეთვლაში გამოიხატება, მაშინ ის მავნებელია, რადგანაც დაინტერესებულთ ჰგონიათ, რომ მათ მაგიერ, მათს ასარგებლოდ ყოველივე კარგად მზადდებაო და დამშვიდებულნი არიან.

საარჩევანო მზადებას, როგორც მოგეხსენებათ, ორი უმთავრესი საგანი აქვს: 1) რაც შეიძლება მეტი მომხრე იშოვო და 2) მომხრეთაგან რაც შეიძლება მეტს რიცხვს მიაღებინო მონაწილეობა არჩევანებში. „ქალაქის დებულება“ ამომრჩევლად სცნობს მხოლოდ სახლის პატრონს (განსაზღვრულის ფასის სახლისას) და ვაჭართ, რომელთაც აუღიათ გილდის მოწმობა. ამ რიგად კანონი ქალაქის გამგეთ სცნობს მხოლოდ მდიდარ ელემენტს, შეძლებულებს.

სწორედ ეს ელემენტი მეტად ნაკლები გვყავს ქართველებს ტფილისში, აქ მეფობს და ჰბრძანებლობს სომეხთ ბურჟუაზია, რომელსაც კანონი სრულს უფლებას აძლევს ქალაქის საქმეები მარტო მან განაგოს. რადგანაც ამ მხრივ ქართველები სუსტნი არიან ტფილისში, მეთაურების მოვალეობაა—არაფერი არ დაჰზოგონ, რაც შეიძლება მეტი მხნეობა გამოიჩინონ და არჩევანებში მონაწილეობა მიაღებინონ უმეტესობას იმ ქართველობისას, რომელსაც კანონი ამომრჩეველთა უფლებას აძლევს. ამისათვის-კი საჭიროა, რომ არცერთს მათგანს „ნედოიმკა“ არა ჰქონოდა, რადგანაც „ნედოიმკიანი“ ჰკარგავს კანონით მინიჭებულს უფლებას. რა გაარიგეს მეთაურებმა ამ საქმეში? საუბედუროთ, თითქმის არაფერი. ქართველ საზოგადოების იმ წრემ, რომელმაც იკისრა არჩევანების მეთაურობა, თითქმის სრულიად უყურადღებოდ დასტოვა ეს საქმე, და ამიტომაც მრავალ ქართველთაგან, რომელთაც, „ცენზი“ აქვთ, მხოლოდ ხუთასს კაცზედ ცოტა მეტი იქმნა შეტანილი საარჩევანო სიებში. ქართველ ამომრჩეველთა მეთაურებმა არ მიიღეს არავითარი ზომა, რომ „ცენზიან“ ქართველობის უმეტესობას დროზედ გადაეხადა „ნედოიმკა“ და ამგვარად არ დაეკარგა საარჩევანო უფლება.

ეს პირველი შეცდომა შეიძლება შესწორებულიყო იმით, რომ ყველა 500 ამომრჩეველი მაინც მოსულიყო საარჩევანო დღეს თავისის მოვალეობის ასასრულებლად, მაგრამ მეთაურებმა ამ მხრივაც ვერ გამოიჩინეს გულ-მოდგინეობა: 500 კაცის მაგიერ, არჩევანებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 203 ქართველმა, ესე იგი ნახევარზედ ნაკლებმა იმ რიცხვისა, რომელიც საარჩევანო სიებში იყო ჩაწერილი. განა ეს საარაკო და დაუჯერებელი ამბავი არ არის?! განა საარაკო ამბავი არ არის, რომ ქართველებმა, რომელთაც მთელი თავისი ღონე უნდა მოეკრიბათ, ნახევრადაც ვერ ისარგებლეს თავისის ძალით?! ვთქვათ, რომ „ცენზიან“ ქართველობის უმეტესობა იმდენად ღარიბია, რომ ვერ მოახერხა, დროზედ „ნედოიმკის“ გარდახდა; ვთქვათ, რომ ქართველ ამომრჩეველთა მეთაურებს ამ მხრით ბრალი არ ედებათ; ვთქვათ, რომ მათ ყოველი ღონე იხმარეს: აგონებდნენ ქართველ სახლის პატრონებს და ვაჭრებს—დროზედ შეეტანათ „ნედოიმკები“; კარგი, მაგრამ იმდენი მხნეობა როგორ ვერ გამოჩინეს, რომ ისინი მაინც მოეყვანათ საარჩევანო ყუთებთან, რომელნიც საარჩევანო სიებში მოექცნენ?! საზღვარ გარეთ, როდესაც რომელიმე დასი საპარლამენტო ან საქალაქო არჩევანზედ თავისს საარჩევანო ჯარის მხოლოდ ერთს მესამედს მოიყვანს, იმ დასის შესახებ ამბობენ—სუსტი დასიაო, ამბობენ, რომ იმ დასის წევრთ ჯერ ვერ შეუგნიათ საზოგადო საქმის მნიშვნელობაო და სხვა.

სომეხთა რიცხვი საარჩევანო სიებში იყო 1300, ამათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 642 კაცმა, ესე იგი მხოლოდ 49,4%. როგორც ჰხედავთ, ესეც მეტად მცირე პროცენტია; მაგრამ ქართველებმა ვერც ამდენი შეიძლეს: ქართველთა რიცხვი სიებში 512 იყო, არჩევნებზედ-კი მოვიდა მხოლოდ 203, ესე იგი 39, 5%! წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მიცვალებულის პატრონი ტირილის დღისათვის ოცის, ორმოცის მანეთის პურსა ჰყიდულობდა ვაჭრისაგან. ამ ჩვეულების წყალობით სამუდამოდ ვალში vardebod— ვარდებოდა ღარიბი კაცი. ეხლა განაჩენი შეადგინეს და დაადგინეს, რომ მიცვალებულის ტირილის დღეს პური არ იხმარონ, მჭადისა და სხვა ოჯახში ნაწარმოებ სანოვაგისა გარდა.

ჩვენსკენ ხვნა-თესვა დაგვიანდა, რადგანაც მაისმა გვალვა დაიჭირა. დღეს საღამოს ცამ პირი მოიქუშა, დედა-მიწას რისხვით ჩამოხედა და ის იყო კოკიპირული წვიმა ჩამოუშვა. მართალია, ეხლა ყანების თესვა გვიანია, მაგრამ ჩვენი დოვლათიანი ქვეყანა სამყოფს მაინც არ მოგვაკლებს.

ვ. ოქუმელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინდელს „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილია წერილი გ. ადამის ძის ყარანგოზიშვილისა, რომელიც ქ. დუშეთის მკვიდრი აზნაურშვილია და რომელმაც, ეჭვი არ არის, კარგად უნდა იცოდეს ეგრედ წოდებული „ახალ სურბ-გეორგის“ საქმე. აი რასა სწერს იგი ხსენებულის სადავო ჭეშმარიტების შესახებ:

საქმე აი რაშია. პაპიჩემის მამას დედით—ოჭანეზ მანდენოვს პაპაჩემ გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა და სთხოვა თურმე ნება მიეცა წმ. გიორგის ძველ ეკლესიის ნანგრევზედ სომეხთა ეკლესია აეშენებინა და სასაფლაო გაემართნა. პაპაჩემმაც ნება დაჰრთო თურმე. ოჭანეზ მანდენოვმა ეკლესია ააშენა და ანდერძად დასტოვა, რომ როგორც იგი, აგრეთვე მისის ოჯახის ყოველივე წევრი ხსენებულს ეკლესიაში დაემარხნათ და წელიწადში ორჯელ მანდენოვის გვარეულობის მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდაეხადნათ. ამ ეკლესიაში დამარხულ იქმნენ: ოჭანეზა და მისი ვაჟიშვილი მეუღლითურთ; დედამის მისს ანდერძს მუდამ ასრულებენ და აღდგომის მეორე დღესა და ამაღლებას წირვასა და პანაშვიდს იხდიან მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. სასაფლაოზედ აკრავს ასე 7 დღის მიწა, რომელიც ჩვენ, ყარანგოზიშვილებს, გვეკუთვნოდა. მამულების გამიჯვნის დროს, 1887 წ., მამა ჩემს ბევრი სთხოვეს, რომ ხსენებული მამული ქალაქისათვის ეჩუქებინა, რადგანაც დუშეთს მახლობლად ერთის ფეხის დადგმის ოდენა მიწაც-კი არსად მოეპოვებოდა. მამაჩემმაც აუსრულა თხოვნა და ეს მამული დუშეთის სახელზედ გაამიჯვნინა. ამ მიწის გვერდით ტყეა და ამ ტყეში—ბოდავის წმიდის გიორგის ნიში, სადაც ყოველს წმიდა გიორგობას, 23 აპრილსა და 10 ნოემბერს, ბოდავიდამ მლოცავნი მოდიოდნენ ხოლმე მღვდლისა, ბლაღოჩინისა და გლეხთა რჩეულ კაცებთან ერთად წმიდანის სადიდებლად. პროცესსიაში მონაწილეობას იღებდნენ მართლ-მადიდებელნიცა და სომეხ-გრიგორიანნიც. სხვა დროს-კი ეს ადგილი დუშელების სასეირო ადგილად ითვლებოდა და ვინც კი მოისურვებდა, ყველა დაიარებოდა დროს გასატარებლად. რადგანაც სომხებსა და ქართველებს შორის აქ ხშირად გამათობა და ჩხუბიც ასტყდებოდა ხოლმე, ამიტომ ბოდაველებმა სრულიად მოსპეს პროცესსიები, ხოლო ცალკე ოჯახობით ეხლაც ყოველთვის დაიარებიან.

ეხლა აგიხსნით, თუ როგორ მოხდა, რომ წარსულ მაისის 15-ს მიწის მზომავმა ბ-ნმა სტრუმჩევსკიმ ზემოდ აღნიშნული ორი ნაჭერი მიწა სურბ-გევორქის ეკლესიას მიუმიჯნა.

1887 წ. გამიჯვნის დროს, როგორც ზემოდაცა ვსთქვი, მამა-ჩემმა 7 დღის მიწა ქალაქ დუშეთს დაუთმო და ქალაქის სახელზედ იქმნა ამიტომ დამიჯნული. დუშეთში იმ დროს დეპუტატად (როგორც ახლა ქალაქის უხუცესია) ვინმე თათულოვი იყო, სომეხი. თათულოვმა ხალხს ყალნო გარდასახადი, რომლებსაც „ნედოიმკას“ უწოდებენ,—აბა ჩქარა და მალე მოგვეცითო. სიონელები იძახიან, ჩვენ ყოველ წელს უკლებლივ ვიხდიდით ყალანსა და არ ვიცით, ეს „ნედოიმკა“ საიდგან მოვიდაო. ასეთივე ამბავი დაემართა სოფ. ყანაბას, ფანშეტს, არშას და ცდოსაც, რომლებსაც უკლებლივ შეტანილი ჰქონდათ ხაზინაში ფული და დღეს-კი „ნედოიმკა“ დაატყდათ თავსა. ასევე ჩაიყლაპა ფანშეტელების, არშელების და ცდოელების 15 თუმნის შეშაც. ეს ხუთი წელი არის იმ ფულმა ჩაიღუპის წყალი დალია და გლეხები პირში ჩალა გამოვლებულნი დღესაც შესცქერიან.

კალმის-წვერა

## რუსეთი

მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ მომავალს დედათა სამკურნალო ინსტიტუტში არა ქრისტიანე ქალნიც იქმნებიან მიღებულნი, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ მათი რიცხვი მთლად მსმენელ ქალთა 5% არ აღემატებოდეს.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, აგვისტოში ტფილისს საფრანგეთის რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტი და მხატვარი თურმე ეწვევა. ესენი ჯერ პეტერბურგს მივლენ, შემდეგ მოსკოვსა და ბოლოს ტფილისს, საიდამაც ბათუმსა და ბაქოშიაც შეივლიან.

— მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება, რომელიც ამ დღეებში იქმნა დამტკიცებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტს უკვე დაუბეჭდია, რომ გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს გაეგზავნოსო.

— ნადირობის შესახებ კანონის გადასინჯვა შემოდგომაზედ უკვე დასრულებული იქმნება და შემდეგ საგანგებო კომისიას წარედგინება, რომელმაც უნდა განიხილოს იგი. კომისიის თავმჯდომარედ სამეურნეო მინისტრი ერმოლოვი იქმნება.

— რაც დღე გადის, იმდენი უფრო მრავლდება სახალხო თეატრებისა და სახალხო კითხვების რიცხვი რუსეთში. ადგილობრივნი საზოგადოებანი და სამზრუნველონი ხალხის გონებრივადა და ზნეობრივად ასამაღლებლად არავითარს შრომას არა ჰზოგვენ, რომ როგორმე უკეთესად მოაწყონ საქმე. ადგილობრივნი ერობანიც ნაკლებს მზრუნველობას არ უწევენ სახალხო განათლების საქმეს. მაგალითად, ამ მოკლე ხანში პოლტავის ერობამ 3,600 მან. გადასდო ამ აზრით.

— ქალაქის ხმოსანთა არჩევნებისა გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ვინც ამომრჩეველსა სიაში შეტანილი ვაჭრობის უფლებით, ნება ეძლევა ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს მაშინაცკი, როდესაც იმის უძრავს ქონებაზედ ძველი გადასახადია დარჩენილი. რაიცა შეეხება გაუყოფელ ქონების მონაწილეთ, თუ ამ გვარ ქონებაზედ ძველი გადასახადია დარჩენილი, მაშინ წარმომადგენელს ნება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ხოლო თუ ქონების მონაწილეს სხვა საკუთარი მამულის ცენზიცა აქვს, რომელსაც ძველი გადასახადი არ აძევს, მაშინ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს არჩევნებშიო.

## უცხოეთი

**კრიტი.** კრიტში თვით-მართველობის შემოღების საქმე თანდათან წინ მიდის და უთუოდ ახლო მომავალში სავსებით განხორციელებული იქმნება. ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული „ივერია“-ში, რომ ევროპის სახელმწიფოთ შეიმუშავეს ამ თვითმართველობის წეს-რიგი და გადაწყვიტეს შეუდგნენ იმის სისრულეში მოყვანას. როგორც გაზეთები იუწყებიან, თვით კრიტელებიც აღარ არიან წინააღმდეგნი ევროპის სახელმწიფოთა ასეთის გარდაწყვეტილებისა და თანხმობას აცხადებენ კრიტში თვით-მართველობის შემოღებისას. ეხლა საქმე იმაშია თუ ვინ უნდა დანიშნონ კრიტის გენერალ-გუბერნატორად. ევროპის სახელმწიფოთ ამ საგნის შესახებ მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს გუბერნატორად არც ოსმალეთის და არც საბერძნეთის ქვეშევრდომი არ დანიშნონ. აქამდე ამ თანამდებობაზედ ასახელებდნენ პრინცს ბატენბერგელს, ხოლო ამ ბოლო დროს საფრანგეთის მთავრობამ შვეიცარიის ქვეშევრდომის ნუმა დროზას კანდიდატურა წამოაყენა და ურჩევს სახელმწიფოთ, ის დანიშნონ ამ კუნძულის გენერალ-გუბერნატორად. ევროპას ჰკუაში მოსვლია ეს წინადადება და უთუოდ ნუმა დროზი იქმნება დანიშნული. გაზეთებიც ერთხმად იმ აზრისანი არიან, რომ გენერალ-გუბერნატორად სწორედ ისეთი ნეიტრალური სახელმწიფოს ქვეშევრდომი უნდა იყოს, როგორც შვეიცარიაა. ამასთანავე თვით ნუმა დროზი დიდად განათლებული, ყოვლად პატიოსანი და სახელმწიფო საქმეებში გამოცდილი კაცია. ის დაიბადა 1844 წ. მაშასადამე, ეხლა 53 წლისაა. ახალგაზდობაში მოქანდაკე იყო, შემდეგ მასწავლებლობდა და ბოლოს ჟურნალისტობა დაიწყო. 31 წლისა იგი რესპუბლიკის მმართველობის წევრად იქმნა არჩეული. შემდეგ ასრულებდა სხვა-და-სხვა დროს შინაგან საქმეთა, ვაჭრობის და გარეშე საქმეთა მინისტრების თანამდებობებს და ბოლო დროს საერთაშორისო უფლებათა ბიუროს პრეზიდენტად იქმნა არჩეული. ეჭვი არ არისო, ამბობენ გაზეთები, ამდენ საქმეში დახელოვნებული და გამოცდილი კაცი ბევრს სარგებლობას მოუტანს კრიტს და იმისს აწეწილ-დაწეწილ საქმეებს საუკეთესოდ გამოაწყობსო.

—

**საბერძნეთი.** გაზეთებიდგანა სჩანს, რომ საბერძნეთში ყველანი მოწადინებულნი არიან, რაც შეიძლება ზავი მალე იქმნას დადებული საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში საბერძნეთი ვეღარ შესძლებს აუარებელის ჯარის შენახვას და იძულებული იქმნება გაკოტრების გზას დაადგეს. მეფესა და გარეშე საქმეთა მინისტრს უკვე მიუმართავთ ელჩებისთვის და უთხოვნიათ, შუამდგომლობა გაგვიწიეთ ევროპასთან, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკება მალე იქმნას დაბოლოებულიო. ამ საგნის შესახებ ელჩებს

---

წარმოვიდგინოთ რომ რუსთა და ქართველ ამომრჩეველთა მეთაურებს ისეთივე მხნეობა გამოეჩინოთ საქმეში, როგორიც მუქარის შეთვლაში გამოიჩინეს, წარმოვიდგინოთ, რომ მათ ისეთივე მხნეობა გამოეჩინოთ, როგორიც სომხებმა, ესე იგი, რომ იმათაც 49% ამომრჩეველთა მოეყვანეს არჩევნებზედ, ვნახოთ, როგორ განაწილდებოდა მაშინ ძალა. რუსების რიცხვი ამომრჩეველთა სიაში შეადგენს 682, ქართველებისას – 512, ერთად=1194; ორივე დასს 49% რომ მოეყვანა (როგორც სომხებს), მაშინ მათი საარჩევანო ჯარი 590 კაცს შეადგენდა, 18 მაისის არჩევნებზედ-კი ეს ჯარი 406 კაცს შეადგენდა; თუ გავიხსენებთ, რომ სომეხთაგან 642 კაცმა მიიღო მონაწილეობა და თუ 590 კაცს მივუმატებთ სხვა წვრილმან ერების ხმასაც, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ქართველ-რუსთა მეთაურებს გარემოება ნებას აძლევდა ბრძოლის ველზე თითქმის იმდენივე ჯარი გამოეყვანა, რამდენიც სომხებმა გამოიყვანეს! აქ განმარტება საჭირო არ არის! ამით მე ის მინდა ვთქვა, რომ ვიდრე შენის უძლურების ხმას მთელს ქვეყანას მოჰფენდე, ვიდრე მთელს ქვეყანას შესჩივლებდე—სომხებმა შეგვჭამესო, მოდით გვიშველეთო, იმდრომდე სრული შენი ძალა უნდა გამოსცადო, თორემ იფიქრებენ, რომ ზარმაცი და დაუდევარი კაცი ხარ და გინდა მხოლოდ, რუსები რომ იტყვიან, „чужими руками жаръ загребать“…

—

ასე იყო თუ ისე, არჩევნებამდე გამოირკვა, რომ ჩვენ სომხებთან შედარებით მეტად ნაკლები ჯარი გვყავდა. როგორ უნდა მოვქცეულიყავით, რა გზას უნდა დავდგომოდით, რომ არ დავმარცხებულიყავით? ამ შემთხვევაში დედამიწის ზურგზედ, სადაც კი დასთა ბრძოლა არსებობს, მიჰმართავენ ხოლმე ერთს საშუალებას, სახელდობრ შეთანხმებას. წელს არჩევანებზედ სომხობა იყოფებოდა სამ ბანაკად. ერთი მათგანი (ეგრედ წოდებული „დამოუკიდებელთა დასი“) მეტად სუსტი და უმნიშვნელო იყო და აქ ჩვენ იმის შესახებ არას ვიტყვით. ორი დასი-კი (ეგრედ წოდებული „დვორცოვიე ნომერა“ და „ახალგაზდათა დასი“) გაცხარებულ ბრძოლაში იყვნენ ერთმანეთთან; ამ უკანასკნელ დასს კარგა ხანია ჰსურს დაამხოს პლუტოკრატთა დასი („დვორცოვიე ნომერა“). ამ ორ დასთა შორის რომ ცხარე ბრძოლა იყო (პირველ არჩევანებზედ), იმითი მტკიცდება, რომ მძლავრმა პლუტოკრატთა დასმა „ახალგაზდათა“ 72 კანდიდატთაგან გააშავა 48 კაცი, მათ შორის „ახალგაზდათა“ მეთაურებიც—ბ-ნნი ა. შაჰ-აზიზოვი, ა. ბაბოვი, ნ. ხუდადოვი და სხვანი.

თითოეულ დასმა მოისურვა ქართველებთან შეთანხმება და არჩევნებამდის რამდენჯერმე იყო გამართული მოლაპარაკება, მაგრამ ქართველ ამომრჩეველთა მეთაურებმა ორივ სომეხთა დასის წინადადება შეთანხმების შესახებ უარ ჰყვეს. რადა? რა მოსაზრებათა ძალით? რამ აიძულა ჩვენი მეთაურები, უკუ ეგდოთ ეს ერთი საშუალებათაგანი მოპირდაპირის დამარცხებისა? შეთანხმების უარი იმიტომ განვაცხადეთო, ამბობენ მეთაურები, რომ ვეღარ ვენდეთ იმათ, ვინც 1893 წელს უსამართლოდ მოგვექცაო, ვეღარ ვენდეთ, რადგანაც შეთანხმების სურვილი იმათის მხრით გულწრფელი არ იყოო. ეს ახსნა არ არის საბუთიანი და საკმაო. მოპირდაპირე დასთა შეთანხმებისათვის მაინცა და მაინც საჭირო არ არის გულ-წრფელობა, გულ-კეთილობა, კეთილ-განწყობილება და სხვა ამ გვარი; ამისთვის ხშირად საკმაოა მხოლოდ რაიმე საერთო ინტერესი, რაიმე გარეშე გარემოება, რომელიც უთუოდ თხოულობს შეთანხმებას. მაგალითად, ქართველ ამომრჩეველთა და სომხის ახალგაზდათა შეთანხმება შეიძლება მომხდარიყო იმ საერთო ინტერესის ძალით, რომელიც მოითხოვს „პლუტოკრატთა“ ბატონობის დამხობას ტფილისის თვითმართველობაში. არც ერთი სომეხთა დასი არ უყურებს ქართველობას სიყვარულით, მაგრამ თუ ორივე დასი შეთანხმებას თხოულობდა—ეს იმათმა საკუთარმა ინტერესმა და გარემოებამ გამოიწვია. ერთის მხრით თითოეულ სომეხთა დასს ჰსურდა ესარგებლა ქართველების ჯარით მოპირდაპირის დასამარცხებლად, მეორეს მხრით სომეხთა მეთაურები კარგადა ჰგრძნობდნენ, რომ აუცილებლად საჭიროა ქართველებსაც ჰყავდეს მცირე რიცხვი წარმომადგენლებისა საბჭოში. ამ მიზეზთა გამო უეჭველია შეთანხმება მოხდებოდა და ამ შეთანხმებას ჩვენთვის სასარგებლო შედეგი მოჰყვებოდა. რასაკვირველია, სომხები იმდენს ქართველს არ ამოირჩევდნენ, რამდენიც ჩვენა გვსურს, მაგრამ ნუ თუ ვინმე ჰფიქრობს, რომ მრავალის წლის გაფუჭებული საქმე შესაძლოა ერთს წუთში და ერთის იერიშის მიტანით გამოკეთდეს?!...

ვთქვათ ახლა, რომ ჩვენ ვცდებით და სომხები მართლაც არ აასრულებდნენ დაპირებას. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ რას წავაგებდით ამითი? სრულიად არაფერს. პირ-იქით, ჩვენ კიდეც მოვიგებდით, იმიტომ რომ საქვეყნოდ თავ-მოჭრილი, ზნეობრივად დამარცხებული ის-კი არ არის, ვინც ტყუვდება, არამედ ის, ვინც ატყუებს და პირობას არ ასრულებს!...

ლალი

(დასასრული იქმნება)

ათინაში უკვე ჰქონდათ მოლაპარაკება და დაუდგენიათ, შეატყობინონ ევროპის სახელმწიფოთ საბერძნეთის უკიდურესი მდგომარეობა და სთხოვონ დააჩქარონ მოლაპარაკების საქმე. სადიპლომატიო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპა შეისმენს საბერძნეთის ვედრებას და, ასე თუ ისე ეცდება ეს საქმე მალე დააბოლოვოსო.

## დამაკვირდი

მუშა-კაცის თითები საგანძურის გასაღებია; უცოდინარის ხელები-კი გლახაკის აბგაა.

სპარსული ანდაზა

***

ის-კი არ არის ჭკვიანი, ვისაც კეთილის ბოროტისაგან გარჩევა შეუძლიან, არამედ ის არის, ვინც ორს ბოროტ შორის უმცირესის ბოროტის ამორჩევა იცის.

ალ-ხარიზი

***

რაც ცხენისათვის ფონია, ის ქათმისათვის წარღვნაა.

რუს. ანდაზა

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ზაფხულში რწყილი მეტად აწუხებს კაცსა და ძილს უფრთხობს. რწყილის წინააღმდეგ ათას გვარი საშვალებაა, მაგრამ ყველაზედ უკეთესი კი ის არის, რომ ოთახები რაც შეიძლება სუფთად შეინახოთ, განსაკუთრებით საწოლი ოთახი, რადგანაც აქ რწყილი უფრო ძლიერ მრავლდება. საჭიროა ყოველდღე მზეზედ გამოჰფინოთ ხოლმე ლოგინი და ხალიჩები. გარდა იმისა ძლიერ კარგია იატაკი გაარეცხინოთ ხოლმე საპნიან წყალით და ცოტა ბენზინი ან ნავთი გაურიოთ.

* *

ამ ჟამად ედისონი იმის ცდაშია, რომ ფონოგრაფისა და კინეტოსკოპის შემწეობით წარმოდგენების გამართვა შეიძლებოდეს. თუ ეს მოხერხდა, მაშინ სცენაზედ საჭირო აღარ იქმნება არც არტისტები, არც მუსიკა, არც სუფლიორი და არც რეჟისორი. თითოეული სიტყვა და მიხვრა-მოხვრა სახელოვან არტისტებისა: ტამონიოსი, დუზესი, სარრა ბერნარისა და პოსარტისა კიდევ რამდენსამე საუკუნეს შემდეგ დაატკბობს ხალხსა, რადგანაც ეს ხმა და მიხვრა-მოხვრა აღნიშნულ იქმნება ფონოგრაფებითა და კინეტოსკოპით. სცენაზედ გასჭიმავენ თეთრს ტილოს. ფარდის უკან დასდგამენ ფონოგრაფებს. თითო ფონოგრაფში აღნიშნულ იქმნება სათქმელი სიტყვები თითოეულ არტისტისა. ცოტა მოშორებით გამართულ იქმნება კინემატოსკოპი, რომლის შემწეობითაც ტილოზე გამოჩნდებიან არტისტები. ამ გვარად ედისონის ახალი თეატრი სულ არაფრით განირჩევა ეხლანდელ წარმოდგენებისაგან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ არტისტების მაგიერობას მანქანები გასწევენ.

* *

ერთს გაზეთს სწერს თვისი კორრესპოდენტი კონსტანტინეპოლიდგან მეტად საყურადღებო ცნობებს. ცნობები შეეხება სულთანის სასახლეს. თურმე ამ სასახლის და ყველა მოხელეთა და მოსამსახურეთა შენახვაზედ წელიწადში 50 მილიონი მანათი იხარჯება. სასახლეში სცხოვრობს თხუთმეტი ათასი სული. ამათში 5 ათასამდე მარტო ქალებია. ქალებს ნახევარზედ მეტს ჯამაგირი ეძლევათ.

თვით სულთანს შვიდი ცოლი ჰყავს. ამათ შესანახად სახელმწიფო ყოველ წელიწადსა ჰხარჯავს რვა მილიონ მანეთზედ მეტს. სულთანის სამზარეულოდგან ყოველ დღე დააქვთ ქალაქში სამი ათასი კაცის სადილი და საუზმე. სადილი დააქვთ შვიდასს კაცს, თითოს თვეში სამი ლირა აქვს ჯამაგირად. ყოველ წელიწადს სულთანი ახალს ცოლს ირთავს. ამ დროს სულთანი ერთს ალაგასა ზის. გამოიყვანენ მორთულ-მოკაზმულ ქალებს დაგაატარებენ სულთანის წინ. თითოეულ ქალს გულზედ ნომერი აკრავს. შემდეგ ქალები წავლენ და სულთანი უბრძანებს ჰარამ-ხანის ფაშას იმ ქალის ნომერს, რომელიც მოეწონა. მეორე დღიდგანვე ეს ქალი სულთანის ცოლად ითვლება და ცალკე ოთახში გადიყვანენ, ვიდრე მისი ბედ-იღბალი არ გადაწყდება. თუ ქალს შვილი ეყოლა სულთანის ცოლებთან გადაიყვანენ, თუ არა—ვისმეს მიათხოვებენ. ისეც მოხდება ხოლმე, რომ სულთანის მიერ არჩეული ქალი თანახმა არ არის სულთანის ცოლობაზედ. ქალს ძალას არ ატანენ, მაგრამ მაშინ სულთანს სრული უფლება აქვს სულ უბრალო ჯარის-კაცს მიათხოვოს. ასეთი შემთხვევა ამას წინად მოხდა. ერთმა ლამაზმა ჩერქეზის ქალმა ნადირე-ხანუმმა უარი განაცხადა სულთანის ცოლობაზედ. სულთანი გასწყრა და ურჩი ქალი „ონ-ბაბის“ მიათხოვა ე. ი. ჯარის კაცს. ნადირე-ხანუმმა ასეთი შეურაცხყოფა ვერ აიტანა და თავი მოიკლა. სულთანის სასახლეში ხუთის წლიდგან დაწყებული მოჰყავთ ქალები და საგანგებო ინსტიტუტში აბარებენ. აქ ასწავლიან ქალებს ყორანსა, ცეკვას, სიმღერას და სიყრმიდგანვე აგონებენ, სულთანის ცოლები უნდა გახდეთო. ასე იზრდებიან ამ ინსტიტუტში ქალები და ზოგი იქვე ბერდება. ზოგი ქალი ისე ეჩვევა სასახლეში ცხოვრებას, რომ გათხოვებას არა ნდომულობს და აქვე ჰრჩება სიკვდილამდე. ამ ჟამად სულთანის სასახლის ინსტიტუტში ათასამდე ქალია.

სულთანმა არც-კი იცის რამდენი ქალი ჰყავს სასახლეში. თექვსმეტი მოხელე ჰყავს, რომლების მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ იმის ტანთსაცმელს თვალ ყური ადევნონ. თითოს თვეში ოციდგან სამოცამდე ლირა აქვს ჯამაგირად. მარტო ადიუტანტები შვიდასი კაცი ჰყავს სულთანს. ადიუტანტებს დიდის სისწრაფით უმატებენ ჯამაგირსა და ხარისხს. ვინც სულთანის გულს მოიგებს, ის ხომ ოქროთი ივსება. გარდა ამისა სულთანი თვისის ჰარამხანიდგან ქალს აძლევს ცოლად. მაშინ ამ კაცის ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს. ქალს გააყოლებენ მზითვად სახლსა, პენსიას და სიკვდილამდე გაეგზავნება სადილი და საუზმე სულთანის სასახლიდგან.

ეს ამოდენა მოხელენი სასახლისა სრულიად არაფერს აკეთებენ, მთელ დღეს სეირნობენ და დროს ატარებენ სადმე ყავახანაში. ყველგან პატივის ცემა და დიდი ნდობა აქვთ. ჯამაგირსაც თავის დროზედ იღებენ. ხაზინადარი ვერ გაბედავს ჯამაგირი დაუჭიროს და როცა მოსთხოვენ, იმ წამსვე დაუთვლის ფულს. ერთის სიტყვით, თუ ვინმე ბედნიერი არის ოსმალეთში, სასახლის მოხელენი არიან.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „ქართლ-კახური გალობა“, კარბელაანთ კილოთი. მწუხრი, ნოტებზედ გადაღებული და გამოცემული მღვ. ვას. გრიგ. ძის კარბელაშვილის-მიერ. ნაწილი პირველი. წიგნს თითონ მღ. ვ. კარბელაშვილის წინასიტყვაობა უძღვის, მოკლედ აღნიშნული აქვს გალობის უმთავრესი კანონები და სხვ. წიგნი შეიცავს 112 გვერდს, დაბეჭდილია კარგის შავის სამგალობლო ნიშნებით საუკეთესო სქელს ქაღალდზედ და ღირს 80 კ. გამომცემელი აცხადებს, რომ „ცისკარიც“ მალე დაიბეჭდებაო.

## გასართობი

—

ფოსტის ერთმა მოხელემ ასე დაახასიათა თურმე ქალი: გათხოვილი ქალი წერილია, რომელიც ადრესით მისულა თავისს ალაგას.

გასათხოვარი—გაუგზავნელი წერილია.

გაუთხოვრად დარჩენილი—წერილია, რომელსაც ზემოდგან აწერია „პატრონი მოიკითხავს“ და არავის მოუკითხავს ფოსტიდანაო.

* *

ქიზიყში ქალ-ვაჟი დანიშნეს.—სადილს შემდეგ დედ-მამას ახალგაზდებისას გადაეწყვიტათ გასულიყვნენ კარში და დანიშნულები მარტო დაეტოვებინათ,—ან ავს ეტყვიან ერთმანეთს, ან კარგსო. დარჩნენ მარტოკანი. ჩამოვარდა სიჩუმე; ერთი ერთმანეთს ხმას არა სცემენ, ვერა ჰპოულობენ ლაპარაკის საგანს. ვაჟს ძალაზედ ხვითქი გადასდის და მალ-მალ ახალის წითელის ხელცახოცით იწმენდს ოფლს. ხმის ამოღებას ვერასგზით ვერ ახერხებს. ქალი იქვე ტახტის თავზედ ჩამომჯდარა, ჩაუღუნავს თავი და ჰღეჭავს თავჩითის წვერს. სიჩუმემ დიდ ხანს გასტანა. ბოლოს, ქალს რომ მოჰბეზრდა, წამოდგა, აიღო ცოცხი და სახლს დაგვა დაუწყო. სანეფოს სახე გაუბრწყინდა, ასწია თავი მაღლა და დიდის გაჭირებითა და ჩმუჩნით შეეხმაურა:

— გოგო!...

— რაგინდა?

— მოვიდე, შაგიჭამო-ყე ე ცოცხი?!...

საპატარძლომ არც აცია არც აცხელა და პირდაპირ უთხრა:

— რას მიჭქარავს? შამიჭამოყე-რა—ჩვენებიანთ ჩოკა ჯორი ხარ-რა!...

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ყ. იპპოსელს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ა. ახ—იანს.** თქვენი ლექსები „ბედს“ და „სანადლო“ არ დაიბეჭდება.

**ს. ს—ლ. გულ-დამწვარს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ქ. ქ—ვი ნ, ბაქურაძეს.** რაც შეეხება ოსურს არაკებს, გამოგზავნეთ. ან ჩვენ დავბეჭდავთ და ან აკაკის გადავცემთ „კრებული“-სათვის.

**ზემო არაგვისპირელს.** თქვენი წერილი დაუსაბუთებელია და ამიტომ ვერ დავბეჭდავთ.

**ქ. თ—ი. ტ. იძეს.** არ დაიბეჭდება წერილი „ცნობის ფურცლის წინაამდეგ.

**სოფ. ს—ტა. ი. გ—ავას.** თქვენი შენიშვნა, მღვდლის შესახებ არ დაიბეჭდება.

**დ. ჭ—რ. ფ. დ—ია.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ლვიმელს.** უსახელო წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

**ყვირილის წიგნთ-საცავის გამგეობას,** ჩვენ გაზეთს თავისს დროზედ ვგზავნით. დაგვიანების მიზეზი რკინის გზაა და არა ჩვენ. თქვენის საჩივარით რკინის გზას მიჰმართეთ.

## პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — " | — " | — " |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — " | — " | 205¾ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — " | — " | 101⅛ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | " — | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | " — | — | — " |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | " — | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | " — | — " | — " |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — " | — " | 99½ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — " | — | 283½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — " | — | 245½ |

# განცხადებანი

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით უცხადებს ყველას, ვისაც-კი სხვა-და-სხვა დროს ქალაქის დაგეგმილი მიწები ჰქონდა მიზომილი სახლების ასაგებად, რომ 22 აგვისტოს 1895 წ. ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილებით, რომელიც ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ კანონიერად და სამართლიანადა სცნო (1897 წ. 21 მარტის სხდომაზედ)—გამგეობას დაევალა ჩამოერთვას ყველას ის დაგეგმილი მიწები, რომელზედაც დღემდის 1858 წ. 18 ნოემბრის კანონის მე-10 მუხლის თანახმად მკვიდრი საცხოვრებელი მიწა არ გამართულდამეარებულა. ხოლო იმათ, ვისაც დაგეგმილი მიწები ჰქონდათ მიზომილი და აგრეთვე ამათ მემკვიდრეთ, უფლება ემლევათ ამ განცხადების მესამედ დაბეჭდვის დღიდგან ექვს თვემდე კვლავ განაახლონ თავიანთი ვალდებულება, რომელიც 1858წ. 18 ნოემბრის კანონშია მოხსენებული,—რომ სამის წლის განმავლობაში (ვალდებულების დადების დღიდგან) მოზომილს მიწებზედ სახლებს ააგებენ. ხოლო თუ ამ განცხადების მესამედ დაბეჭდვის დღიდგან ექვსი თვის ვადამდე დაგეგმილი მიწები კვლავ აუშენებელი დარჩება და ფოთის ქალაქის გამგეობას თავისს ვალდებულებას არ წარუდგენენ იმის შესახებ, რომ სახლებს ზემოდ აღნიშნულ სამის წლის ვადამდე ააგებენ, მაშინ ფოთის ქალაქის საზოგადო სამმართველოს განკარგულებით ეს ადგილ-მამული გასყიდულ იქმნება.

ვალდებულება უნდა განახლებულ იქმნას ამ სახით:

«მე ამისა ქვემორე ხელისმომწერელი ამითი ვკისრულობ ვალდებულებას ფოთის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მოვალე ვარ დღეიდგან სამის წლის ვადამდე 1858 წლის კანონის მე-10 მუხლის თანახმად ქალაქის დაგეგმილს ამა და №-ის მამულზედ სახლი ავაგო და დავმკვიდრდე მამულზედ, რომელიც მე (ან მამისა, ან სხვას ვისმე) მიუზომა ქალაქმა ამა და ამ დროს, ამა და ამ საბუთის ქაღალდით, ამა და ამ რიცხვიდამ, ამა და ამ №... (ან ეს მამული გადმოვიდა ჩემს სახელზედ ამა და ამ საბუთის ქაღალდის ძალით). ხოლო თუ ზემოდ აღნიშნულ ვადამდე ჩემს ვალდებულებას ვერ შევასრულებ, მაშინ ჩემგან მიღებული ქალაქის დაგეგმილი მამული ქალაქისავე საკუთრებადა რჩება და, როგორც მოისურვებს, ისე მოიხმარს. დრო ვალდებულების დადებისა. ხელის მოსაწერი ადგილი».

ხსენებული ვალდებულება უნდა იქმნას შემოწმებული ნოტარიუსისა, ან სხვა მის შესაფერ საშუალებით. აქ მოხსენებული საბუთის ქაღალდები ან პირდაპირ უნდა იყოს ჩაკერებული ვალდებულებაში, ან არა-და ნოტარიუსის შემოწმებით გადაღებული პირი უნდა იქმნას წარდგენილი. ქ. ფოთი, 6 ივნისს 1897 წელს.

ფოთის ქალაქის გამგეობა.


ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(9


ჯილში ვ...



ტი მეუყაითობ